



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება № 81/2020

2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მეორე ტურის არჩევნებისათვის № 10 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ შეძლებენ უფლებამოსილების შესრულებას

ქ. თელავი

2020 წლის 17 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 წლის დადგენილებისა და № 10 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პირადი განცხადებების საფუძველზე, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ შეძლებენ უფლებამოსილების შესრულებას.

მუხლი 1. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მეორე ტურის არჩევნებისათვის № 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ვადამდე შეუწყდეთ უფლებამოსილება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი, N138) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

/რევაზ გაიპარაშვილი/

კომისიის მდივანი:

/მაია სეხნიაშვილი/



დანართი

N10.16.21 მაია იმერლიშვილი

N 10.16.30 ნინო არჩუაშვილი

N 10.17.21 ეკატერინე შოშიკელაშვილი

N 10.17.22 თამარ შოშიკელაშვილი

N 10.17.37 ილჰამ ისლამ ოღლი; ნათია ჩიკვაიძე

N 10.17.39 მანანა კუკნიშვილი

N 10.17.46 მაია ნემსაძე

N 10.17.54 იაშარ უსუპოვი

N 10.18. 02 ნინო გოგოჭური